საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ელ. ფოსტა: telasi@telasi.ge
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

N: 0525/533/26

25/05/2026

შპს „ჭავჭავაძის 64ბ“-ს წარმომადგენელს

ბ-მ გიორგი კორსავას

სს „თელასში“ შემოსული თქვენი N0504/757/26 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ კომპანია არ არის წინააღმდეგი განათავსოთ თქვენს კუთვნილ შენობის უკანა ეზოში (მისამართი: ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 64ა) მცირე ზომის დროებითი ნაგებობა (სასაწყობე ფართი), იმ პირობით, რომ დაცული იქნება სს „თელასი“-ს ქონებასთან მიმართებაში ყველა რეგულაცია, საკუთრების უფლება და ხელი არ შეეშლება სს „თელასს“ მისი კუთვნილი ენერგოობიექტის ექსპლუატაციაში.

გენერალური დირექტორი ს. კობცევი

შემს: ზ. აზარაშვილი
2-77-99-99 (1) 7531

სააქციო საზოგადოება "თელასი"
ს/ნ: 202052580

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N260693089
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.05.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ლუიზა ცხადაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა N23**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2943164 599535661 591706617
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	84869377033826

დღეს, ორიათას ოცდაექვსი წლის ოცდარვა მაისს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ლუიზა ცხადაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქ. N23, პირველი სართული, მომმართა ბატონმა ზაზა აზარაშვილმა (დაბადების თარიღი:16.10.1976, დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი, მისამართი: თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 16 ბ. 49, პირადი ნომერი: N01002026605) რომელმაც განაცხადა, რომ სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს სერგეი კობცევს არ შეუძლია სანოტარო ბიუროში გამოცხადება და მას როგორც სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს საზოგადოების სახელით სურს წერილობით დოკუმენტზე ხელისმოწერის ნამდვილობის დადასტურება შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვანის ქ. N3. მე ვეახელი სერგეი კობცევს აღნიშნულ მისამართზე და დავრწმუნდი, რომ მას ნამდვილად სურდა წინამდებარე დოკუმენტზე თავისი ხელისმოწერის სანოტარო წესით დადასტურება. მას განემარტა წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს სერგეი კობცევს (დაბადების თარიღი: 17 დეკემბერი 1972 წელი, დაბადების ადგილი: რუსეთი, პასპორტის ნომერი 75 6925332,პასპორტი გაცემულია შსს 50001 მიერ 12.02.2018 წ, სსგს სამოქალქო რეესტრის ბაზის მონაცემებით პირადი N01591002308) დავუდასტურე ხელისმოწერის სინამდვილე მის მიერ შედგენილ და წარმოდგენილ დოკუმენტზე. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მას განვუმარტე წარმოდგენილ დოკუმენტზე თავისი ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან განაცხადა, რომ დოკუმენტზე მისი ხელისმოწერა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ, მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტზე, რომელიც შესრულებულია ქართულ ენაზე და წარმოდგენილია ერთ /01/ გვერდზე, შემდეგ სერგეი კობცევმა ჩემი ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტზე, დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია და დოკუმენტი გაცემულია ერთ /01/ ეგზემპლარად.

სს "თელასი''-ს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა: სულ ორმოცდაცამეტი ლარი ოცდათვრამეტი თეთრი. /53.38/, საფუძველი: „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილება, იმავე დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის N272 დადგენილება, 31.3 მუხლისა ერთი ხელმოწერისათვის ექვსი /6.00/ ლარი და 00 თეთრი, შენობის გარეთ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის ოცდათხუთმეტი ლარი 00 თეთრი. /35.00/, 39.1 მუხლის თანახმად ხუთი ლარი 00 თეთრი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ შვიდი ლარი და ოცდათვრამეტი თეთრი /7.38/.

მე ნოტარიუსი, ლუიზა ცხადაძე, არ ვადასტურებ წარმოდგენილ დოკუმენტში მოტანილი ფაქტის სისწორეს, არამედ ვადასტურებ, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ნამდვილად სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს სერგეი კობცევს ეკუთვნის.

ნოტარიუსი: /ლუიზა ცხადაძე/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

